



მეცტრ



წელი
1886

საუოველ-კვირთა ლიტერატურული და მსატვრობითი გასყეთი.

30 მარტს

გ ა მ ო ო ც ე მ ა

№ 13

კ ვ ი რ ა ო ზ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრ“-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრ“-ს ღირს სამი შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრ“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მისწავრებათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

არწრუნიხულ თეატრში

კვირას, 30 მარტს.

ძართული დრამატიული საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იქნება

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო

სალამო

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. საფარჯია-ნაშვილისა, გაბუნია-ცაგარლისა და ბ. ბ. თ. რაფ. ერისთავი, თ. ჯაკი წერეთელი, ან. ქუთათელაძე. ზ. უმიკაშვილი, ნიკ. ავალიშვილი, ვ. ანაშიძე, დ. აწუურელი, გ. გუნიას და

ძართული ხორო

ძართული წარმოდგენები ამთვრამებთ

საუკუნეში *)

II

ახლა ჩვენ რომ ვსწერთ: „მოქმედება პირველი“, მაშინ უწერიათ „სახის მომქმედლო“; „ვამოქმედლოთ“ — „მასახის მეტყველოთ“.

ამ წარმოდგენებზე თ. ავალოვს დაუწერია ერთი ლექსი, რომელიც მას პირველს და შემდეგ წარმოდგენებზე სიმღერით წარმოუთქვამს ხოლმე. აი ის ლექსი:

*) იხილეთ „თეატრი“, № 12.

მე სახეველნი იგი ჩემნი დავაშრე წიგნთა წერითა, ზოგთა ჩემით მოქმედებულზე, ზოგთ ზე სახეთ გადმოწერითა; მსმენელთ ვევედრები ნუ მკიცხვენ ამა ლექსის მღერითა, არ დაიშლიან, მაჩვენონ, იგი თუ ვმსახურე მე რითა!

თუ ხართ ვინმე მოსურენი თეატრს სმენად ანუ ცნობად, შეიმატებთ განდიდებას, ბრძენთა აგებთ თქვენად მჯობად; პირიღებით უსამართლოთ, ჩემებრივ მწერთა ცუდად გმობად, არ დაიშლით, ჰგავს არ რიღებთ თქვენთან გლახა გულთ ლახვრად სობად!

მერწმუნენით არ მას ეუბნობ, მქონდეს მეტი მისკენ ვრდომა, მაგრამ მწადის განინრება, კიცხვითა და ქვემო რჩომა, ნუ იკადრებთ გაცხადებით, იქონიოთ ჩემზე წყრომა, დაიშალეთ. თუ რომ სჯობდეს მლიქვნელობა, ქვე ქვე ძრომა.

1873 წ. აახეთს თ. ძობულოვებში გავიგე მიწარსი საქართველოში პირველად წარმოდგენილი კამედიის «მეფე თეიმურაზისა».

თეიმურაზი საფლავიდან წარმოდგება ერთ კაცს

დაიჭერს და ეტყვის: კაცო, შენ ბრმა მილუაშვილი არა ხარ? ეს რეები ჩაგიცვამსო? იქათ კიდევ სხვა მოქალაქე პირებს ჩაველებს ხელსა, რომლებთაც ერთ წამს ევროპაში უმოგზაურიათ და იმათებური ტანისამოსი ჩაუცმით. შემდეგ თემურაზი ამბობს: ჰაი გიდი საქართველოვ, საქართველოვ და საქართველოს ხალხოვო, მაგრამ ჰე! შვილო ირაკლი, შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენ საყვარელ ხალხს სიმაართლით უპატრონებ და არ შეაჭმევ თათრებს ბატონებივითაო! და სხვა.

ამ წარმოდგენაში მიუღია ერთ მღვდელს მონაწილეობა, რომელისთვისაც სამღვდელოებს მისთვის დევნა დაუწყებია და ამ მღვდელსაც მაშინდელს ერთ ეპისკოპოსზე ლექსი გამოუღია; ზოგნი იძახიან, მითომ ეს სიონის დეკანოზი თუ მღვდელი ძანდელაკი ყოფილა; ზოგნი კი ამბობენ, ვილაცა იოსები იყოვეო. აი ეს ლექსიც ქართლის მთავარ არხიეპისკოპოსზე:

ღოსითვოს არქიერი ბოლოსა,
 მინ იქნება იმას დაეტოლოსა,
 მინდორს წავა, დაკრფეს ბევრს ღოლოსა,
 მონენია დაიკრამს კარგს ღოლოსა.

ჰამის წირვას გაღიხდის ქაბასა,
 წინ გაიძღვის დიაკვანს საბასა!
 მე დამიშლის შესვლას პალატასა ...

პალატას ეძახდნენ თურმე მაშინ იმ სახლს, სადაც წარმოდგენები ჰქონიათ ხოლმე. წარმოდგენები გაგძელებულა 1795 წლამდის, ვიდრე წყეული აღამამად ხანი დაეცემოდა თბილისს. და როდესაც ეს დაცეა თბილისს და ქალაქი ააოხრა, წარმოდგენებიც მოისპო. მოგეხსენებათ, რომ ამის შემდეგ მეფე მრეკლე დასნეულდა, სამეფო სახლში შური ასტყდა, ერთობა დაერღვათ და საზოგადო საქმეების აღმსრულებელი კაცებიც სრულიად დაიხონენ და გაიქცეამოიქცენ.

ის კამედიები რა იქნა — ეს არავინ იცის; 1830 წელს რომ ქალაქში სოლომონ ღოდავის რედაქტორობით ქართული სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა გამოცხადდა, მაშინ წარმოუდგენიათ ის ძველი დრამები დიდ ბიორგი მრისთავისა და ღიმიტრი ბაგრატიონისა. ამბობენ ეს კამედიები იმ ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყვნენ, მაგრამ სხვა-და-სხვა შემთხვევებისა გამო 1832 წ. ჟურნალი დაიხურა და ვერც ის პიესები დაბეჭდილა; ამ ჟურნალისა სუ ოთხი ნომერი გამოვიდა პირველს წელიწადს; დახურვის შემდეგ თვითონ რედაქტორიც პოლიტიკური საქმეების

გამო, რუსეთს გაგზავნეს დასასჯელად, რედაქტორი დახურეს და, არა თუ ის პიესები, არამედ სხვა მრავალი სტატიებიც და თხზულებებიც დაკარგულა. იძახიან, ვითომც სხვათა შორის იმ რედაქციის ზოგიერთი სტატიები ერთ ვილაცა მიულაშვილს ჩაეარდნია ხელში; მაგრამ ისიც მომკვდარა და ყოველის ფერი დაკარგულა.

ხემო მოხსენებული პიესების შესახებ, ამას წინეთ ჟურნალ „ივერიაშიაც“ სწერდა პ. შიფანი და კარგი იქმნება, რომ სხვებმაც მიიქციონ ყურადღება და ეგები რამე სხვა ცნობები და თვით პიესებიც მოვიპოვოთ.

(დასასრული იქნება)



აზაფსულა და აჭევაგა
 საამურად ტურფა ია;
 ბუჩქის ძირას დამამუქნი,
 გულისათვის სამოთხეა.

მაგრამ მასაც მოუკა დრო,
 და მოუჭამს ძირსა ჭია;—
 ჩვენი პედიც იას წაგავს
 ამ ჩვენ მუსთად სოფელშია.

თეატრის მუშა.

თ. ალ. ჰავჭავაძის ორი დაუბეჭდავი ლექსი *)

I

ვაჭმე გულო, რა ვეო წამლად წეფულისა,
 არ გაქვს სასო მისგან შენ საღბუნისა;
 შენ შობილხარ ტრფობად მნათთა იშვითთა
 და იგი დიხს შენგან სიყვარულისა.

II

რას სიკვდილი, რას მისი საშინელება!
 თუ კაცი ღისინსა მოშორდება—ჭირსაც მოწხება.

*) ეს ორი ლექსი ერთ ძველ ლექსთა კრებაში მოვიპოვეთ.

საქონალა

მთვარის შუქი შენსა ფანჯრებს,
პით სატრფოა ეალერსება;
მითქო იგიც აშიყოებით
რალაცს გთხოვს და გვაჯება.

და მეც მასთან ფანჯარის ქვეშ,
სატრფოვ! ვსდგევარ შემოგცქერი;
რომ მეღირსოს შენი ნახვა
და მით გავხედ ბედნიერი.

რა მისწყდება ფეხისა ხმა
და ველსაც ჩაეძინება,
მხოლოდ მაშინ ერთის წამით
შენი ხილვის მომეც ნება...

რომ მით დავსტკებ და გიმღერო
სიყვარულის სერენადა;
მგებ გულში შთაგინერგო
სამური ხმა ტკბილადა.

გელის-ჩახედა.

გაზეთი „ივერია“ და მისი მნა.

აღვილათ წარმოსადგენი არ არი ის მოუთმენ-
ლობა და აღტაცებული სიხარული, რომელსაც ჩვენ
ვგრძნობდით გაზ. „ივერიის“ გამოსვლის წინა დღეებ-
ში. ზანსაკუთრებით პირველ იანვარს ნაშუადღევს
ოთხი საათიდან ქალაქის ბაღს არ მოვმორებდით
და მოუთმენლად გავიყურებოდით ვაგზალისაკენ —
როდის იქნება მატარებლის კიჟინა მოგვესმას და ფოს-
ტის ზარის რაწკა-რუწკოა. მოვიდა ფოსტა, მოიტანა
ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ ჩვენ გულ-დაწყვეტილნი
დავბრუნდით შინ. „ივერია“ აღარ იყო!

— ეს კი არ არის კარგი ნიშანი? მე არის რე-
დაქციის უთაურობა, ცუდი დასაწყისიაო, და მრავა-
ლი მსგავსი უკმაყოფილება მოისმოდა ყველა ხელის-
მომწერთაგან და საზოგადოთ მკითხველთაგან.

ზამართლდა ეს უკმაყოფილება. მივიღეთ, რო-
გორც იქნა, პირველი ნომერი, წავიკითხეთ ყურად-
ღებით თავიდან ბოლომდის, მაგრამ ვაი ამ წაკითხ-
ვას და—უფრო სამართლიანი იქნება ესთქვათ—უი
იმ წაკითხულს!.. «მოგეტყნა ძვალი!» მოგეტყნა ძვა-
ლი, როგორც ამბობს ერთი პატივცემული პირი ყო-

ველს იმისთანა ძვალ-მომტებს საგანზე, რომელიც
მოდგა გაზეთი «ივერია».

წავიკითხეთ და ვიტკვლიცეთ თავში ხელი! მართ-
სათს გონზე არ მოესულდართ, თავბრუ დაგვესხა და
სისხლი ყელს მოგვადგა: გავიგუდეთ, გავიგუდეთ!
სოტალა დაგვაკლდა, თორემ კინალამ დავიხჩვით!..
რა იყო მიზეზი?—მნა! ზაზვიადებული კილო, გაბე-
რილი სიტყვები, გაპრტყელებული ენა! სხვილ-სხვი-
ლი, უშველ-უშველვებელი სიტყვები! ასე უშველვებ-
ლი ვგონებ არც ის რძალი ყოფილა, რომელსაც,
ხალხის თქმულობით, „ასი ალაბი სარტყელი წელ-
ზედ არ შემოსწვდენია“!

პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში ავტორი
ამბობს, რომ ჩვენ ორ გვარი მკითხველი უნდა და-
ვაკმაყოფილოთ: ერთი ინტელიგენტი და მეორე ან-
ბანთ მწყურვალის, მაგრამ „ჩვენ უფრო ანბანთ მწყურ-
ვალთაკენ გადავიხრებით(!). მაშასადამე ჩვენის გაზე-
თის სიკეთე ყველაზედ უწინარეს ჯერ ამ თვლით
უნდა გაიზომებოდესო!“ მნახოთ, რამდენათ გაამართ-
ლა ავტორმა ეგ დაპირება და რამდენათ დააკმაყოფი-
ლა ზემოხსენებული მკითხველები. მართი ეს ვიკით-
ხოთ: ნება აქვს ზემო მოყვანილი სტრიქონების დამ-
წერს სთქვას, რომ «ანბანთ მწყურვალთაკენ გადა-
ვიხრებითო (გადავიხრებით!) ნეტაი თუ ესმის ავტორს,
რა ენით უნდა ელაპარაკო იმ უსუსურ ბავშს, რომ-
მელსაც ჯერ ანბანიც არ დაუწყია? ნუ თუ იმ გვარი
ენით, იმ გვარი კილოთი, როგორიც, მაგალითებრ,
შემდეგია:

„ძაცობრიობის დიდებულთა ნაღვანთა თირკმ-
ლები რომ გაუსინჯოთ (ფუ ამისთანა ზრდილობასაც!
თუ თქვენ არ გეზიზღებთ ყველაფერნი ხელის რევა,
სხვები მაინც შეიბრალეთ!), მთელის კაცობრიობის
ახოვანს პროგრესს თავიდან ბოლომდე გონების ნეს-
ტარი გაუტაროთ (მეტფორაც ასე უნდა! შუა საუ-
კუნოების ერთი რუსის მწერალი მაგონდება, ისიც
აგრე სწერს: «Грызу зубами чрева моего!»), ნახაეთ,
რომ ყოველივე ეს მართლა-და დიდებული ნაომარი
კაცობრიობის ხელისა, გონებისა და მხნეობისა სხვა
არა არის-რა, თუ არ ძლივე-მოსილი სელო კაცებურ
(ებურ!) ღირსებათა გრძნობის აღსამატებლად მიმარ-
თული“... (№ 1).

ოხ, ღმერთო! ჰაერი, ჰაერი, თორემ ლამის
დავიხჩვით! რომელი საუკუნის ენაა ეს? ალბათ, მეცხ-
რამეტე საუკუნის ქრისტეს წინათ, თორემ ქრისტეს
შემდეგ მეცხრამეტე საუკუნეში ამისთანა სულთა-
მხუთავი ენა?! მერმე ისიც ამისთანა დროს...

პი ამ ენის და ამასთანავე, რა საკვირველია, ში-
ნარსის მახინჯობამ ჩვენც აგვადებინა ხელი გაზეთის

უმეტესი ნაწილიდამ, ჩვენ, რომელთაც, სხვა თუ არა, ანბანი მაინც, მადლობა ლმერთს, კი გვისწავლია. მაშ ვიკითხოთ: როგორ გაიგოს ანბანთ მწყურვალმა ის, რაც ანბანთ მცოდნეს არ ესმის? მაშ რისთვის ცოდვილობს ეგ მამაცხონებული მეთაურისტი და რისთვის ჰბერავს ამ გულას? ნეტაი ვისი შვილებია ეს გაბერილ-გაბერილი სტატიები? ნათქვამია: „დედა ნახე, მამა ნახე—შვილი ისე გამოიანხეო“, და მართლა კარგათ ჩაჰურებულ-ჩასუქებული უნდა იყოს ის მშობელი, რომელმაც ასე სოლო-სოლო შვილები შვა. ალბათ, ზოგიერთი ბუშიც კი ურევია შიგ, მაგრამ ჩვენ მაინც ასე ვიცით, რომ—ილიამ შვა «ივერია»...

სანამ შინაარსს შევხებოდეთ, ჯერ კიდევ ენაზე შევიჩერდეთ. ძილოს თავი დავანებოთ, ამიტომ რომ კარგი კილოს ქონებისათვის კარგი ნიჭის ქონება საჭიროა. ჩვენ მხოლოდ იმ ანბანის შესახებ ვოტყვივით, რომლის სწავლებასაც ჰპირდება „ივერიის“ რედაქცია მკითხველს. მართული ენის სწავლება დღეს ჩვენს სკოლებში ისე დამცირებულია და მიჭრუბული, რომ მკითხველი საზოგადოების უმეტესი ნაწილი იძულებულია თავისით შეისწავლოს ენის ფორმები და კანონები, საკითხავი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების საშუალებით. ამ უკანასკნელთა წმიდა მოვალეობაა სწერონ კანონიერი ენით, მტკიცეთ დაიცუნ გრამატიკის წესი და კანონი. გრამატიკა ერთი იმ ანბანთაგანია, რაცა «ივერიის» რედაქციამ, დაპირებისამებრ, უნდა «გარდაჰყაროს ანბანთ მწყურვალთაკენ». მაგრამ—მაგარი ის არის, რომ «ივერიის» რედაქციას, პატრიარხ-რედაქტორილამ დაწყებული უკანასკნელ მის მედავითნე-ლიაკენამდის, ეს ანბანი არ სცოდნია და, მაშასადამე, რაც თვით არ იცი, სხვას რას ასწავლი? «შვავს არ ჰქონდა—ჩხიკვს გაჰქონდაო!»

ლიტონ სიტყვებთ რომ არ ჩამომართვან ეს სიტყვები, დავიწყოთ მოწინავე სტატიებილამ და ამოვსწეროთ შეცდომები.

პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში სწერია: „როცა გაივლის ისე, რომ არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩეს“. ავტორს არ სცოდნია, რომ დროებას ერთმანეთში შეთანხმება უნდა, და შეთანხმების წესი ამ გვარია: გაივლის ისე, რომ არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩება; ან ასე: გაივლოს ისე, რომ არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩეს; გაივრა ისე, რომ არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩას და სს. იქვე სწერია: „შეუწონამ“: ეს არის ანბანის უცოდინრობა! ზმნისაგან შეწონა მყოფადი დრო იქნება მე შეუწონავ, შენ შეუწონავ, და არა შეუწონამ; ზმნისაგან დაქრთამვა: მე დავქრთამავ, და არა დავქრთამა-მ; კითხვა: მე ვიკითხავ, და არა ვიკითხამ, როგორც ხმარობს მედავითნე—

ლიაკენთაგან შემდგარი „ივერიის“ რედაქცია, რომელიც სკოლაში მხოლოდ ის ზმნები მიიღებენ, რომელთაც დასაწყისში მა აქვს დაბოლოება: შექვა-შეკვა, შესმა-შეკვა, ჯღოქვა-ჯღოქვა და სს. იმავე სტატიის ავტორი ხმარობს: «ვისმეს», «რასმეს»! ვინმე, რამე: ნათეს—ვისიმე, რისიმე, მიცემ—ვისიმე, რასიმე, და არა ვისმეს, რასმეს: მიცემითი ბრუნვის მაჩვენებელი ასო ს შუაში არის და ბოლოს კიდევ ს რის მაჩინალოა?

იმავე ნომრის ფელეტონში ნახმარია ფორმა აგუგკაო! მე სწორეთ ავტორის გრამატიკის კანონის ძალით უხმარია ავტორს! ატება: მე აგუგკა, შენ აუგკა, და არა აუგვევი. იქვე სწერია: „დაჰქრთამამ“ (შენ), უნდა იყოს „დაჰქრთამავ“. იქვე დომხალივით არეულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმები: «ჩავარდნილ ქართველ კიცის», „ქართველ ლიტერატორის“ «აქაურის ექიმებისაგან»! პრე-დარევა არაფრის არ ვარგა: თუ ზედსართავ სახელს (ი. прилагательное) ნათესაობით ბრუნვაში ჰკვეცავ დაბოლოებას, ყოველთვის უნდა მოჰკვეცო, თუ არა და ყოველთვის უნდა შეათანხმო არსებით სახელს, ან ერთი და ან მეორე. ხან „კაცობრიობის დიდებულთა ნაღვანთა (თათათა!) თირკმლებს“ უსინჯავენ და ლამის სულ ფაშ-ფუში გამოაცალონ და ხან «ქართველ ლიტერატორისაო»! პი ასე მოხდება ყოველთვის, როცა კაცს გზა გარკვეული არა გაქვს და ბრმასავით დაეცეცი.

იმავე ფელეტონში ნახმარია: „შეჩვეულვართ“, „მოქცეულვიყავ“! უნდა იყოს შეჩვეულვართ, მოქცეულვიყავ, ამიტომ რომ ეგ ფორმა რთულია და შედგება მიმღობისაგან და შემწეობითი ზმნისაგან; შეჩვევა: მიმღობა—შეჩვეული, აქედამ შეჩვეული ვარ, შეჩვეულვარ; აგრეთვე მოქცევა: მოქცეული, მოქცეულვარ, მოქცეულვიყავ და სს.

პი რამდენი შეცდომა არის ორ სტატიაში, იმისთანა შეცდომა, რომლის უარყოფაც უმეცრებათ ჩავთვლება უარყოფელს. სხვა წერილმანი შეცდომა ურიცხვია, მაგრამ ყველა რომ ჩამოვთვალო, შორს წავალთ.

სხნებული სტატიები ყოველივე ღირსებათა თუ უღირსობით, ყველა შეცდომებით, როგორც სჩანს, ეკუთვნის თვით დიდებულ პატრიარხს, რომელმაც «შვა ივერია». საცა თვით პატრიარხს არ სცოდნია ჩვეულებრივი წირვა-დალოცვა და ალლილუია დიდება შენდა, მისს მაჩინალოა დიაკვნებს როგორ უნდა გაეუმტყუნოთ, რომ დავითნი ვერ წაიკითხონ ხერიანათ? მაგრამ ამ დიაკვნებისა და თვით პატრიარხის საყურადღებოთ ჩვენ კიდევ ამოვსწერთ რამდენსამე

შეტომას, რომელსაც მოვკარით თვალი აქა-იქ უბრალო გადაფურცლის და გადათვლიერების დროს.

პირველ ნომერშივე (შორს წასვლა არ გვჭირია: ერთ ნომერშიაც საკმაოდ მოიპოვება რედაქციის სისუსტისა და უმეცრების ნიშნები) ნარკვევის ავტორი სწერს, „მას აქედ“-ო და შემდეგ კი იქვე ხმარობს: „ეგრეთ წოდებული“, „შესატყობა-თ“ და სხ. აი სწორეთ ეგ არის დო და მხალი ერთათ არეული! სადაც არ არის საჭირო დ, იქ ხმარობს, და სადაც უფრო შესაფერია, იქ არა. იმავე ნარკვევში სწერია: «შეძლოთ», «შაუძლია!» ჰაი, ჰაი! შაუძლია, შენმა მშემაცა და! შაუძლია! საკვირველია ამ ზოგიერთი ამერლების ყოფა-ქცევა: რასაც პელაბარში ვაიგონებენ, ასე ჰგონიათ, ყველაფერი მართალიაო. ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ამერულ კილოს მეტი ადგილი სჭერია და უნდა ეჭიროს ჩვენს ლიტერატურულ ენაში, მინამ იმერულს, მაგრამ იმერული კილო, იმერული ელემენტი ისე აუცილებელი საჭიროა ჩვენის ლიტერატურული ენისათვის, როგორც თევზისთვის წყალი, ცხოველისთვის ჰაერი. ჩვენი ენა დაწმენილი და გამშენიერებული მაშინ ყოფილა, როდესაც ჩვენში ერთობა ყოფილა, როდესაც იმერსა და ამერს შორის გარჩევა არ ყოფილა, როდესაც კარგსა და მშენიერს იმერულსაც მოწონება ჰქონია და ამერულსაც. ბარდაკითხვით მეთორმეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა და მაშინ დარწმუნდებით, რა მნიშვნელობაც ჰქონია იმერულ ელემენტს. ჩვენა გერწამს, რომ იმერული კილო ამსუბუქებს ჩვენს ენას, აკვლუტებს მას და პოეტურ სილამაზეს აძლევს; უამისოთ ქართული ენა ისე გაზვიადებული, პრეტყელი, ტლანქი და მძიმე იქნებოდა, როგორც ნეტარ ხსენებულის ანტონ კათალიკოზის ენა და, თუ გნებავსთ, ახლანდელი «ივერიის» ენა («ივერია» ძლიერ ჰბაძავს ანტონს და კიდევაც სესხულობს იქედამ სიტყვებსა და ასოებს, როგორც მაგალ. სიტყვა მკობრე, ასო ფ, სრულიად შეუფერებელი ჩვენი ენისათვის, და სხვ.) ჩვენა გერწამს, რომ ცალკე არც იმერული ვარგა და არც ამერული: ლიტერატურული ენა უნდა იყოს შეზავებული ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის მშენიერი ფორმებისა და სიტყვებისაგან და მხოლოდ მაშინ იქნება იგი ლამაზი, მშენიერი, კეთილ-ხმოვანი. მაგრამ ამისათვის საჭიროა კარგი ინსტინქტი, კარგი გემოვნება; გემოვნება უნდა გქონდეს კაცს გახსნილი და მხოლოდ მაშინ ვაარჩევ, რომ შაიძლება და შაიდა უშნო ფორმაა. ბანა არ შაიძლება, ბატონებო, რომ იხმაროთ: შეიძლება, შევიდა, შეიტანა და სხვ... გემოვნებამ თუ გიღალატათ, გონება მაინც რათ გაუშვიო განხვ? და თუ ორივე გღალატობსთ, ამ გვარ

მძიმე ტვირთს რათ იდებთ თავზე? ხსენებული ხსენების დასაწყისი შაძლება, შასვლა და შატა არის, არამედ შექლება, შესვლა და შეტანა: მაშასადამე, ეგ შაიძლება საიდგანლა გავთოდა?

«ივერიის» დიაკვნებს რომ ხეირიანი გემოვნება ჰქონდესთ, არც ამ ფორმას მოიწონებდენ: ჰავკავადებურ-ლუარსაბებური, სულელებურ-დიაკვნებური ანუ ბახტაძ-ქიფშიძ-კატას-უნებური და სხ. მაგრამ რა გეთქმის კაცს, როცა ამ ებურებურამდის რედაქცია მიუყვანია მეცნიერულ გამოკვლევას? რაში მდგომარეობს ეგ მეცნიერული გამოკვლევა, გასურსთ ვაგოთ? — ბუღია ერთ დიაკონს ძველი სამოციქულო და ბევრი ჩხრეკის შემდეგ წასწყდომია ფორმას «ქმებური» და გარდაუწყევტია, რომ ამას შემდეგ ხონელებურიც შეიძლება და ქარაფშუტებურიცო!.. მინა სთქვა, რომ ჩვენ მეცნიერები არა გვყავსო და არაფერს არ იკვლევენო?! მხოლოდ ერთი გვაკვირებს, — ერთ სამოციქულოში ესეც სწერია: „ოკის ყოველთა სულელთა დიაკონთაო“ და რატომ არ გამოაქვეყნა მეცნიერმა დიაკონმა ეს კანონიც? მსეც ხომ დიაკვნური (უკაც-რავათ: დიაკვნებურებური!) მეცნიერული (კიდევ ბოლიშს ვიხდი: მეცნიერებურებური!) გამოკვლევა იქნებოდა და ამით ის სახელს მოიხვეჭდა?... მხ, თქვე მართლაც და დიაკვნებო და დიაკვნებურებო!

ბი კიდევ იმავე ნარკვევის ავტორი-დიაკონი რა ფორმას ხმარობს: „რამეთი“-ო! ძარგათ დაისწავლეთ, დიაკვნებო, ეგ ბრუნებები: რამე, რისმე, რასმე, რითმე, რათმე (რადმე) და სხ.

ნეტაი ერთი მაინც ერიოს ამ დიაკვნებში (იმისთანა, რომ გრამმატიკის ანბანი იცოდეს. იქნება ამ ხონელმა დიაკონმა იცოდეს რამე? მაგრამ რა გახუმრებსთ? დიაკონი, სადაურიც უნდა იყოს, მაინც დიაკონია... „ქუთაისელიო“, სწერს იგი „ქუთათური“-ს და „ქუთათელი“-ს მაგიერ; „ჩვენ დაუთმოთ“: უნდა იყოს დაუთმოთ; „ავაზაკებურო“-ო (ქარაფშუტებურო)! და მრ. სხ. ვსწუხვარ, რომ თან არა მაქვს ის ნომრები, რომლებშიაც ებად-ასაღების წყალ-წასაღები ავტორი სწერს. არა მაქვს იმიტომ, რომ იმ ნომრებს ყველაზე უწინ ვგზავნი საიქიოს... გრამმატიკა არც ამ დიაკონმა იცის, მაგრამ ერთი ღირსება მაინც აქვს იმის ენას: ადვილათ ვაიგებ კაცი, თუ რასა სწერს, სხვებსავეთ ფილოსოფიური გარეგნობით არ ჰფარავს სისულელეს და ადვილათ ხედავ მკითხველი, რომ ის ყოველთვის აქია-ბაჭიობს და ლობე-ყორეს ედება.

მრთ ნომერშიაც საკმაოდ ვიპოვნეთ ჩვენ შეცდომები, მაგრამ დიაკვნების საყურადღებოთ კიდევ

მოვიყვანთ ზოგიერთ შეტომებს, რასაც კი გავიხსენებთ ზეპირათ.

— «ღირს რამდენიმე მილიონი» (უნდა იყოს «მილიონად»: რა ღირს?—სახლი; რად, რამდენად? — მილიონად. ისილე მეფეების-ტყაოსანშიაც: «და რა ტურთა გაიფედეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად». — «მსწავლული» (უნდა იყოს სწავლული): ხენა (ხნვა) — ხნული, რგვა—რგული, კვრა (კრვა)—კრული და სხვ. თავში მ მხოლოდ მოქმედებითი გვარის მიმღეობას უზის და არა ენებითისას: მ-ასწავლებელი, მ-აშენებელი, მ-ხენელი და სხ.—«მღეთის, მღეთაებრივი»: ღმერთი—ღეთის, ღეთაება—ღეთაებრივი: მ რისლა მაჩანჩალა?—«მოველოდდი»: მოველო-ი—მოველო-ოდი, დაერბ-ი—დაერბ-ოდი, ეთრთ-ი—ეთრთ-ოდი და სხ. მეორე დ რის მატრაკვეცია?—„დავიწყობ, დავიწყობდი“ (უნდა იყოს: დავიწყებ, დავიწყებდი). რედაქცია ისე ბრძაა, რომ ამ ორს, სულ სხვა-და-სხვა მნიშვნელობის ზმნას ვერ არჩევს: დაწყობა ნიშნავს რიგრიგით დადებას, დადგომას (შემას ვაწყობ, ჯარი ეწყობა) და დაწყება—თავიდან მოყოლას (მე ვიწყებ წერას, საქმე კარგათ იწყება).

აი კიდევ ღროთა შეუთანხმებლობის ნიმუშები (№ 30):

დაწერეღია:

ითქმის სამასი აფიცერი რუსეთის ჯარისა ბოლგარიას მიხენილი ჭყვანდა (ჰყავდა უფრო კანონიერი არ არის)? რუსეთისგან, რომ ბოლგარიას ჯარი გაუწყოს, მოუძარტოს, გაუწურთნოს.

უნდა იყოს:

მიხენილი ჰყავდა, ჰყოლია, რომ გაეწყოს; მიხენილი ჰყავს, ეყოლება, რომ გაუწყოს, მოუძარტოს და სხ.

სწერას:

თუ ბოლგარია ან სერბია რუსეთის პოლიტიკის მომხრეობას გასწევს, მაშინ ავსტრია რუსეთის წინაშე მეტად სუსტი იქნებოდა.

უნდა იყოს:

თუ გასწევს—სუსტი იქნება; თუ გასწევდნ, რომ გაეწყოს—სუსტი იქნებოდა.

სიღოვან.

(შემდეგი იქნება)

დედის ბირილი

I

შიშანობა იყო. მისი მიწურვილიყო; ბუნებას ის იყო დაქსრულებინა თავის შეკება, ტანთ ჩაეცვა ია-ატლასი. მზე საშუადლო ზეით დატყუროდა მომდომარ ქვეყნას. ერთის სსხლის ბანზედ საფეკავი იყო გაფენილი; იქვე ახლო საგრილი იყო გამართული, რომელშიც ივდა ასაღ-გაზდა დედა თავის შატან შვილით. აგერ შატანაკი მოჭმორდა დედას, რასდაც ეწვდება. „ნუ ძეღისარ, ნუ, გენაცვალოს დედა, ჩემო სიღაღე, ჩემო იმედო, აქ მოდი აქ თავის დედა თანა“.

ბავშვა აიღო ნაფოტი და „და-და“-ს ძსილით მობობდა. დედამ წამოავლო იმას ხელი, ჯერ გულზედ მიიგრა და მერე, დააწარა-რა სიტყვები: „გენაცვალე, გეწამლე, თავს შემოგველე, ჩაგეტოლე, ჩემო შვილო, ჩემო წილო, —დაისვა მუხლებზედ, დაუწყო ზანუჭი და მასთან ზუსენი:

„აბე, რა ბუტაუი არის
„ეს ჩემი გმ რი შვილია!
„ფესზედაც დავა გაუტცი,
„ამოუვიდა გილია.
„შენა ხარ დედის წილ-ბედი,
„და იმის ოქროს დილია!
„რადა უშავის დამწარსა,
„რა მოჭკავს დედა-შენსაო?
„გადაიკიდებ სირიშას,
„ხმალს შემოირტყამ წელსაო;
„გადასვალ, გამაიტაცებ
„დაღისტით ლეკის ხელსაო
„უშენოდ არც მზე მზეობდეს,
„გარსკვლავნი დაგხაროდენო;
„შენთვის დნებოდენ იანი,
„თავებსა ისტოდენო.
„შენამც შეჭრები დედასა,
„მთვარეო, ქვეყნის ოდენო!
„არწივი გივილს დაიწეუბ,
„მზე ამოჭნდები სდარო;
„თარემს დააკრავ გორებსა,
„სად მთები გადაიარო.
„სისხლს არ შეარჩენ ჭარკლთა,
„განა, უებრო მსედარო?!
„გერვინ იტყოდეს აუგსა,
„იყო ალღლი ქედანი.
„თავი მომქონდეს შვილითა,
„შემომნატრიდენ დედანი...“

განა არ გამიცრუებ იმედს, ჩემო სიღაღე, ეველაფერს

ამისრულებ?“ — „ბაბა, და-და“ — ტიტინებდა ბავში. — „ზუ-
ლი, ბაბა გინდა, ჩემო დამმარხველო?“ ერთსეულ კიდე
გააქანძურავა დედამ შვილი, კიდე უთხრა სიძულეს:

„დასუდრე თავის გამზდელი
„თავის ზანაწა ტოტებით;
„დატკეზნე იმის საფლავი
„თავის ლამაზის ფეფებით“ .—

დასვა საზანსუდ და გაიქცა სასლში. რა დედა წა-
ვიდა, ბავში ერთი წამი კიდე იჯდა სავალიში, მერე
ადგა და გაბობდა იქით ბანსუდ. ამ დროს მთის არ-
წივი გამოხუთიყო სასადიროდ. რა ბავში თავ-დანებუ-
ბული ხახა, ერთი კი იჭებს და ჩამოეშვა. დედას შეჭს-
წვდა ჭკნა, გაიგო რა ცისას არ ჰგანდა და გამოვარ-
და გარეთ, — იმის საყვარელ შვილს ლაშ-დაღებული არ-
წივი-გი მიანებდა კლდეებისაკე! საბრალო დედამ ერთი-გი
დაიკვივლა, ვაჭმე, მიშველეთო, და გულ-შემოყრილი დაეცა;
ფიცხლავ წამოხტა, სხვა ვეღარაფერი მოახერხა-რა და გა-
მოუდგა არწივს... ტყე-გორების მალღა მიფრინავს არ-
წივი... ძირს სადმე გზა იკვანება და ტყე-ტყე სიარუ-
ლით იკარგება მთა-გუდებში. იმაზედ მიზნის გაგიყუბული
დედა და შეჭსდავს არწივს. ბოლოს ფრინველი სრულ დაი-
კარგა თვალთვან. ესლა კი მოჭსქლება დედას ცრემლი
და დაიწვეს სმა მდლივ ტირილს. ცრემლში და სისლ-
ში გაბასრული იქ ყვავილს დაეუთება, რომელ გზის
შირს ამოჩენილა და თითქო გლოვის ნიშნად დაუსრავ
ლამაზი თავი, შეჭტირებს:

„ტანად და შირად ლამაზო,
„გთხოვ ერთ წამ თავი აიღო;
„მოკლე სიცოცხლეს გაფიცებ,
„ძითხრა, სიკეთე გაიღო.
„არწივმა შვილი გამტაცა,
„რა უყვას, საით წაიღო?“

ცის ნამით ნახარდმა თავი აიღო, შეახერა დედას
ტურთვა თვლები, ამოიფშვინა და ნიავს შეჭრთო უკვდა-
ვების სუნელი. უთხრა: „კბ შენი ტირილი

„ჭკასაც შეწვდება მდუმარეს;
„რო ჰკითხო, ისიც გაამბობს,
„დედას რო ჰნახავს მტირალეს;
„მძინარეს გამოალვიძებს,
„ალაზარაკებს მძინარეს.
„მე არ ვიცი, ვიცი ვატყვი,
„არცა-რა დამიუბენია.
„რა მიწამ აღმომატენა,
„მდღას არ ამისედნია“.

ყვავილმა თავი ისე დაიღო. დედა გაჭნა მთის
წყალნი იმდერისან, მთანი სმას იძლევიან, — საშუა-სამუშაო
ფურცელნი სეგბედ ირსევიან. ჭარი დაუბერავს, გაჭუნ-
ტავს შელაშქრებულ ტყას წვერებს და შუქს ჩაყვინებს
უკუნეთში მიმდრომ ბილივს: იქ ჰდგას დიდი წიფლის
სე, ცალ გვერდზედ იმას დაქსნამა ჩაშუღ-ჩაყვით-
ლებული ხავსი, იმის ფულურში ჩიტს ბუდე ჰქო-
ნია, დაფურენია ბარტყები, დაუსამ გზასუდ გამოწვდილ
შტოზედ, დაფრინავს, დაჭვივის და არის იმათ ალერსში.
ძირს ჰდგას ცრემლით დავალებული დედა და შეჭტირის:

„შემომსედე, შეძიბრალე,
„იცი—მითხარ, ჩემო დეა!
„არწივს ხო არვინ მიჭქნდა,
„ხო არვინ მიტიროდაო?
„დედა ვერ ეშველებოდა,
„და ის კი ეძახდაო?“

ჩიტე ერთი-გი ჩამოატყვრდა, მერე თავის შვილებში
გადანტა, ჩაუჭდა შუაში და ჩამოჭკვივლა:

„გვირილამ გამოიარა
შეკრივმა შარა-გზისამა.
ვაჭმე რო ვერა ვკითხე-რა,
მზემა ემ შვილებისამა.
ნუ დამგობო, ვერ გეწამალო
დაგწავს ცეტხლებურ აღია;
მანც ნუ ჰდგენარ, საწყალო,
გზა მიწვივ საშურაღია.“

დედა ვალებით და შირისოკით გაუდგა გზას.

II

აგერ საჭალაოდ დასსუვილ—გორ-გურისან თხილია-
ნი რო მიჭდვამს და მურხანსს მოკეილება, ველ-ტყიანის
შირში გახარდნულ არყის ხეებს თავის თეთრი ტოტები
ბუმბულავანი ტირიფისთვის რო გადაუფარება, იქ ჭვის
კიბურა სეგბედ:

წყარო ზატარა,
წვამ-წვამ ანკარა,
წკრიალ ჩანჩქარა,
მოჭქრის ჩქარ-ჩქარა.

მოჭქრის, მოჩხრიაღებს და მოტირის სმა მდლივ:
„ვაჭმე, მიშველეთ, წამბილწეს, წამბილწეს! ანანდად გა-
მომალბული დედა კი წამოაწედა და, გაიგონებს-რა
იმის ჩივილს, დაეუთება:

„ციოო, ცივის კლდის ნადენო.“

„წანწკართ ხამომდინარე,
 „რაც იცი სუ დამიმალავ,
 „დარდი მეც გამიზიარე...
 „წყარო ვის გაუგონია
 „თვალეებს ცრემლ-ხამომდინარე?“

წყარო ხილდა:

— „ბაშვი ტიროდა,
 აწვივს მიჭქანდა,
 სისხლი ჩაჭკარდა“.

დედა გაბტკნარდა,
 ენა ჩაჭკარდა.

— «ამოდუც მარდა,
 რა დაგემართა?
 გზა წაგემართა.
 აწვივმა ა იმ
 კლდეებს მიჭმართა...»

დედამ კერც გი გაიგო, როგორ მიიჭრა კლდეს-
 თან,—მაგრამ ის თქვენმა მტკრმა ნახოს, რაც იმან
 ნახა: აწვივი იჯდა ერთ თვალ-მიუწოდამ კლდის ზე-
 ტარს გინჭუნებუდ თავის ბუდის ზირს, გადაეფინა იმის
 შეილისათვის შეწითლებული მსრები და ჭგლეჯდა...
 გასტეკებული დედა მიეყუდა კლდეს ძირში და და-
 უწყო ასედა. ყოვნები ისევეა; სვაკები წრე-ვლებით ირე-
 ვიან ჭებში; შავარდენი დაჭვივის თავზედ, კლდის მერცხ-
 ლები ყვილ-ხვილობენ, წითელ-ნისკარტა *) ჭკები ექანე-
 ბიან; უაჯირი არსეინად შაილ-გაიგლის კლდის მიდამო;
 მთის ლეგა მიმინო ვისვისებს. მალეითგან გადმოჭნქებს
 ცივი ნაკადული და ეღვრება დედას თავზედ... მაგრამ ის
 ამეებს ვერაფერს ჭებდავს, ვერაფერსა ჭებმნებს და ეუბ-
 ნება აწვივს:

„აწვიო, მომძალე სილაღესა,
 „ტულზედ ნისლები გადმიფარე.
 „შეხედე ცისა სიმაღლესა,
 „შვალეები მანც გადმოფარე!“

„გიდე დაურწოს აკანია,
 „გიდეკა ნახოს დედამ შვილი...
 „და სრულის ძვლებით გაინაროს,
 „ეგებ არ დაელიოს წილი.

„ითუბო, კლდეუბო, გასკეწებით
 „გიორგი კარგა შემინახოთ!
 „ბრაწო ლოგინი დაუგოდით,
 „ძვებო, აკვანი დაურწოდით,

*) ჭკა-მთის ჭილ-ყვავია (Алпийская ворона) ყაჯირი
 თეთრი ფრინველია, ერთის შეხედვით სვავს მიაგონებს კაცს.


„იტროს, კიდეც უმღეროდით...
 „ის თქვენთვის ჩამიბარებია!...“

„ქორწილს აზირობს ჩუმა შვალი,
 „ყოვნები მყრად გაჭყებიან.
 „ჩემნი შვილ-რძალნი მაშინისა
 „როგო ტურფანი დასდებიან!
 „ახლა დაშქრობას ემზადება,
 „უშალე და ვერ დაუშალე.
 „წავა და აღარც დაბრუნდება,
 „სიკვდილო, მოდი, ჩამომძალე!
 „ბეგრჯელამც გზახავს დედა-შენი
 „ნამაძს, მოსუეს დაშქრობითა...
 „შენთვის გაქარ-წულდეს დედა-შენი,
 „შვილო, მშვიდობით, მშვიდობითა!“

აწვივამც შეჭამა ბაშვი, დედამც გაათავა ტირილი,
 და ამ მდგომარეობაში ამოვიდა სული. ესლაც ის გაჭ-
 ვაგებული ჭდგას და შეხებდავს იმ ადგილს, სადაც აწვივმა
 იმის გიორგის ამოჭმარა ლამაზი თვალეები...

გაუგლავ დროებს. გაჭკავებული ისევე იქა ჭდგას. მაგრამ
 უამს თვისი უქნია: გაჭკავებულს ლეგ-ლუგა ხავსი დაჭსმია,
 და ლურჯი ლიბრი გადაჭკრია; კლდე უფრო დაშლილა
 და გაგინჭუნიახებულა. ერთი რამ მძიელ ნახი და წვრი-
 ლი მცენარე ამოსულა აწვივის ნახუდარში და კლდეზედ
 ჩამოშებულა; ერთი კიდე გაზდილა გაჭკავებულის თავზედ
 და მალეა ამართულა. ეს ორი მცენარე შუა-კლდეზედ
 ერთმანეთს გადაჭკვვიან და დღესაც ისე არიან.

ბახანა.



ახალი ამბები

◆ ჩვენ შევიტყუეთ, რომ ჩვენის დამსახურებუ-
 ლის და პატივცემულის ისტორიკოსის ღიმიტრი ბაქ-
 რაძის ნაწერების შეკრებას შესდგომიან. გეაცნობებენ,
 რომ პატივცემულს ბაქრაძეს განძრახვა აქვს, რომ
 თვისი ყველა ნაწერები ცალკე წიგნებად გამოცეკსო.
 ნაწარმოებთ შეკრება ჯერ გათავებული არ არისო და
 რაც არის შეკრებილი ქართულს ენაზე ყველა ამათი
 რიცხვი 1500 გვერდზედ მეტიაო.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ ორის წლის
 წინად პატივცემულმა ალექსანდრე მისიკოპოზმა სულ-
 ხან საბა მობელიანის მოგზაურობის ბეჭდვა დაიწ-
 ყო. ეს მოგზაურობა დაბეჭდილია 1852 წ. ყურნალ
 «სისკრის» წიგნებში. მასწაყისი აკლია, რაის გამო
 «სისკრის» რედაქცია აცხადებს, რომ თავი ამ მოგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურობის ვერ მოვიპოვეთო შევიტყუეთ, რომ ახალი გამოცემაც «სისკრიდამ» იბეჭდებაო და დასაწყისიც აკლიაო.

ამ მოკლე ხანში თბილისში უკვე აღმოჩნდა სრული მოგზაურობა საბა მრბელიანისა და უეჭველია, რომ ამ ხელთ ნაწერიდამ შეავსებენ ნაკლსა და ისე გამოცემენ ახალ გამოცემას.

◆ ჩვენ შევიტყუეთ, რომ სტალკრების სამხანაგო მაგაზინის თხოვნა თბილისის გუბერნატორს შეუწყნარებია და დამტკიცებას დაჰპირებია.

◆ დიდი სამადლობელო ხმები ისმის პელაბრის წმიდა მარინის მღვდლის სოლომონ შეშვივის შესახებ, მისგან დაარსებულ საეკლესიო სამრევლო სკოლის გამო, სადაც საკმარისი რიცხვი სწავლობსო, როგორც ვაჟების ისევე ქალებისო. ყმაწვილების რიცხვი სრულიად ქართველებისაგან შესდგებაო.

◆ ჩვენ გვაცნობეს, რომ ორს ახალგაზდა ქართველ ყმაწვილებს შემდეგი წიგნები უთარგმნიათ: 1, ინსტიტუტი დარეინის თეორიით და 2, ხმარობენ თუ არა ურიები ქრისტიანის სისხლს, სტატია პროფესორის ხვოლსონისა. მორივე ეს თარგმანი დასაბეჭდათ არიან მომზადებულნიო.

◆ ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ბ. ანდრია ბენაშვილისაგან შემდგენილი ქართული ნოტები, რომელიც ამოჭრილია ქვაზე ბატონი ბრ. ტატიშვილისაგან. ამოჭრილია მშვენიერად და დაბეჭდილია ლამაზად. სწორედ მადლობის ღირსია, როგორც ბ. ბენაშვილი, ისევე ბრ. ტატივეი.

გამოცემა ამ ორ დღეში მზად იქნება და გამოვა გასასყიდათ.

◆ ხშირად საჩივარი ისმის ხოლმე ჩვენს გაზეთებში მკითხვე-მარჩიელებზედ, რომლებიც უწყალოთ ჰყვლეფენ და ატყუებენ სოფლის უმეცარ ხალხს. მაგრამ არც თვით ქალაქელები ჩამორჩებიან ხოლმე ამ საქმეში სოფლელებს. აი ამ ცოტა ხანში ქ. ბორსაც ეწვია ერთი თბილისელი ჯადოქარი მკითხვეი, რომელიც ერთობ იზიდავს აქაურს უმეცარს ხალხს თავის თვალთ-მაქცობით და მატყუარობით.

ბ ა ლ ი

(მოგონება)

მამა ჩემი თითქმის მოსრუებული იყო, მაგრამ სიარული ძრეულ უყვარდა და ბევრჯერ იქამდისინ გაერთობოდა სოლმე, რომ მთელი დღე სრულებით დადიოდა. ხან კენახში მიდიოდა, ხან მინდვრისაკენ გასწევდა სოლმე და, ასე და ამ რიგათ მამა ჩემი, ყოველთვისინ დასეირობდა თავის ჭრელი ჯოხითა და ზოგჯერ მეც დამახანჩლებდა სოლმე თავისთანა.

ერთ ზაფხულს მშვენიერ საღამოს, როდესაც მთავრე სამუხრათ მოჭყენს სოლმე სოფელს თავის მკრთელ ნათელს, მე და მამა ჩემი ბაღკონზედ ჩაისა ვსვამდით და სიამოვნებით უყურებდით ჩვენ წინ, შანა გზასზედ კენახებიდგან სიმღერით მომავალ მუშის გუნდსა. ამ დროს მომიბრუნდა მამა ჩემი და მითხრა: „შვილო, სვალ დილით ტყეში წაგიყვან-ო“. ვერ წარმოადგინთ ჩემს სისარულს, თუ რა რიგად გამახარა მამი ჩემის იმ სიტყვებმა! მე ჩემს დღეში ტყე არ მენახა, თუმცა ვი ათის წლისა მეტი ვიყავი. მართალია ბევრჯერ გამეგო ტყის სასული, ბევრჯერ დამეგლო უფრი გლეხ-გაცების ტყეზედ ღაზანაკისათვის, მაგრამ მე ვი არ ვიცოდი, რა იყო ტყე და რა სანახავ სურათს წარმოადგენდა იგი თავის ასეთ ზატარას სასულით—ტყე.

აი მომატებულათ უფრო იმან გამახარა, რომ ესლანამდვილათ ტყეს ვნახავდი; ვნახავდი რა იყო იგი, როგორ იყო მოწყობილი და რა რიგი უნდა წარმოედგინა შემდეგში, როდესაც გავიგებდი სადმე ი კვლათ იმის ასეთ ზატარას სასულსა—ტყე!

სისარულისაგან გატაცებულმა, მე კულანდებულზედ უფრო ადრე დავიძინე და სული მწარეთ მოკვლადი გათენებას. როდესაც არ ჩუქულებრივ, მამლებმა იფავლეს თუ არა, მე თვალები მეჭყიტა ქვეშაგებშია, ცოტა ხანიც და მამა ჩემს სმა გამტა სასაგომათა... მე მაშინათვე წამოგსტი ქვეშაგებიდგან, ვეტი ჩემ ტანთ-სანძეულსა, რომელიც საჩქარათ ჩავიცვი, დავიბანე ზირი და ჩემის ზატარა ჯოხით, სრულებით გამზადებული ვიყავი. ჩემი ზატარა გომშანაც თითქო მიგვისგდა წადილს, წამოტა, რამდენჯერმე გაიბღერტა ურუბი და კუდის ქნევით, თითქო გვეხვეწებოდა თან წაყვანასა. რაღა თქმა უნდა, რომ იმას შინ არ დავსტოვებდით და გავსეირნობდით ტყეშია!

მამლები თან-დი-თან უფრო უსშირებდენ ვივილსა; ჩვენ ასე დიდსა და სმიან სოფელს, მაშინ ტკბილათ ჩანდინებოდა... მთავრეს სამუხრათ გადავიინა ჩაღურ სასლებზედ თავისი სხივი და ვარსკვლავებით მოჭედელი ცა, მშვენიერ სანახავს წარმოადგენდა... აი ამ დროს ჩვენ კარგათ გამოვცილდით სოფელს და კიდევ ცოტა ხნის სიარულის შემდეგ, ჩაუსვიეთ ზატარა ჭადიანსა და დავადე-

ქით დიდ-შარა გზას, რომლის ნაპირებსკედ, საუცხოვროთ იყვნენ კუნდას ჯაგები ჩამომწვრივებულნი.

— ეს არის მამილა ტყე? დავეკითხე მამიქის და თვალს აჩ ვაშორებდი შატარა ჯაგნარსა.

— არა შეილა, ეს ჭალა არის, მომიგო მამა ჩემსა და მიმიტო მიხიჯებდა იმ დიდ შარა-გზასკედ.

— განა ჭალა და ტყე სულ ერთი არ არის?

— არა შეილა და განაგრძო მამა ჩემსა: — «ჭალა ის არის, სადაც აი ასეთი ბუჩქნარი არის ატყნელი და გამოსაყენებელს ვერას იზონის გაცი: ტყე კი სულ სხვაა შეილა: ტყე ისეთი დიდრონი ხეებით არის სავსე, რომ იმათგან გაცს ყოველის ფრთო შეუძლიან სარგებლობა: თუ შეშით, თუ ფინხით, თუ ხანლის მსაღით და ყველა ის საჭიროება, რომელსაც მხოლოდ ხე მოუნდება, ყველა ამას ვპოვებთ ტყეში და აი ამიტომაცა ჭეჩინ ტყე.

დარიგების კილოთი ამისნა მამა ჩემსა და კვალად სულ წინ და მხოლოდ წინ მივდიოდით იმ შარა გზასკედ.

კიდევ გარკა გზა გავიარეთ; მრეძაც ამოაფინა თავის რქორს ფერი სხივები და ტრიატი დილა სამურათ მორთო... აგურა უცბათ, ჩვენს მასლობელ ბუჩქიდან დაიფრთხილა ტორლოდამ, შემოქვრა ფრთა-ფრთასა და თოფის ტყვიასვით შეისრიალა მდლა თვალ აუწვანელ ცის სივრცეშია, იქ ერთი რამდენჯერმე კიდევ დაუშტვინა თავისებურათ და კვალთ ტრიალით წამოვიდა ბუჩქებისაკენა. ამას მოქვვა ასლა სხვა-და-სხვა ფრინველების სმა და ცოტა ხნის განმავლობაში სრულებით შესმაურეს ტყე და მინდორი... აგურა ჩვენ წინ გამოხნდენ სავაოთ მალაი ხეები, რომელთა ტოტები ლახთიანათ გადაჭშლოდათ გარკა მანძილსკედ. იმ ჭალას, რომელსკედ დილას აქეთი სკედ მივდიოდით და იმ დიდრონი ხეებს, მართლა რომ ბევრი განსხვავება ჭეჩინდა: ჭალა სავსე იყო დახალი ბუჩქნარით, წვრილი მუხის ხეებით და მკვხარითა; მაგრამ ტყე, რაგორც წინათვე მამა ჩემსკედ მითხრა, სავსე იყო მშვენიერი სხვა-და-სხვა დიდრონი ხეებით, რომელთაც საამურათ გადაქალათ თავიანთ დიდრონი ტოტები და მათი ჩრდილი ვის არ შეიფარებდა. მუხლებადისინ მწვანე ბალახი და ზოგიერთა ადგილს ლამაზი წყარო, სრულებით ამკობდენ ტყის ისეთაც სიმშვენიერესა.

ესლა უფრო სამოკნებით დამტკბარმა ძრიელ დავიწყებუნა და სრულებით აჩრუმიდაც არ მომდიოდა ჩემი დაღლილობა. აი საჩქაროთ ავარდი ერთ თხილის ტოტსკედ და ხარბად დავივსე ჯიბები; აგურა იქით წითელი ვაშლები თითქო თავიანთკენ მიწვევდენ და ძალათ იხრებოდენ დაზვიართული ტოტები... ერთი სიტყვით ძრიელ ბევრი რამ მოიხვედრდა და ძრიელ რამ ბევრით იყო ის ტყე სავსე. თხილი, წითელი, ვაშლი და ზოგო სომ, აურებელი იყო!

მამა ჩემი ჩამომკვდარიყო ერთ შატარა წყაროს შირსა და ქვებსკედ ხსრიალისკან მარგალიტს მსგავს წინწყლებს, რადაც სამოკნებით დაჭურებდა სკედ. მერ მივირბინე, ავივსე მუჭა იმ ცივ წმინდა წყლით და თუბრა კი არ მინდოდა, მაგრამ მანც რადაც სამოკნებითა ვსვამდი; იქვე ჩემს მასლობლათ, გომხარამაც ჩყო წყალში თავის შატარა ფეხები და თითქო გამოჯვრებული იმანც დაუწყო მშვენიერ წყაროს სმა.

არ გავიარე ოცი ნახივი, რომ დადროვან ხეებში მე შევნიშნე ერთი შატარა ხე, რომელსკედ სამურათ დაუნარა ტოტები და სკედ წვრილი თხილის ოდენი შავი ნაყოფი ბლომით ესხა. შიჩველათ შორიდგან ვერ გავარჩიე რა ხე იყო, მაგრამ რადაცა ახლას მივბედი, ვერ წარმოიდგინთ რაგორ შევევირე განარებულმა:

— მამილა, ბალი!

მამა ჩემი მომიხსლოდა და ხმის ამოუღებლათ დამიწყო ეურება. მე კი მოუთმენლად ვნდილობდი რომ ავსულიყავი სკედ და ერთი ლახთიანათ გამომდარვიყავი იმ შავი ბლითა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, ხე ისეთი ლიზი იყო, რომ ვერას გზით შევძელ სკედ ასვლა. დაუწყო ახლა სვეწნა მამა ჩემსა, რომ ტოტი მანც მოეტყნა ჩემთვისა, იმან კვალათ ხმის ამოუღებლათ, საჩქაროთ გამოსჭრა შატარა ვავიანი ჯონი და დამიწოდა სავაოთ მოზრდილი ტოტი, რომელსკედ ძრიელ ბევრი ესხა. მე სინარულით მივარდი ტოტს და საჩქაროთ ავივსე მუჭა.

— ეკვტ გუყოფა შეილა, მითხრა მამა ჩემსა და ჩემდა საუბედუროთ გაუშო ტოტი სკედიგან. მე ეს ძრიელ გამეტრა, მაგრამ მანც სმა არ ამოვიდე და სამოკნებით ჩავიყარე რამდენიმე მარცვლი შირში... ჯერ არც კი დამეკვწნა ხეიროანად, რომ ერთი საშინლათ გამაყრყოლა ტანში და საჩქაროთ გამოვაფურთხე ბალი, შეიძლება კიდევ მოიხვედრებდეს რამ ნივთიერება იმასკედ უმწარესი? მე დღესკედ დარწმუნებული ვარ რომ არა!

— გარკა, შეილა? სიცილით დამეკითხა მამა ჩემი.

— აი ხასე და იქამდისინ შემბეზრა იმ სამკვლ სიმწარემ თავა, რომ კინაღამ ტრირილი დავიწყე. მამა ჩემსა გამომართვა ბალი და გადაყარა. მე კი მამინათვე გავიქერი წყაროსაკენ შირის გამოსარცხათა, ბევრი ვირცხე შირი, ბევრი ვაფურთხე, მაგრამ მე არა მეშველა რა და სახარული სიმწარე მანც არა მომარებოდა შირიდგანა.

— ეს რა ეშმაკური ბალი იყო? თითქმის ბრახ მოსული დავეკითხე მამა ჩემსა.

— ეკ ბალი კი არა, შეილა, ბაღლოჯია, რომელიც მართლა რომ ძრიელა ჭეჩეს ბალსა და განაგრძო ამასთანავე მამჩემს: — მართალია, შეილა, ბაღლოჯის, რაგორც ხეს, სრული თვისება ბლისა აქვს, ბალი და ბაღლოჯი

ერთ დროსა ვგვიან, ერთ დროს ეწევით ნაყოფი, მაგრამ ბაღღაჯის ნაყოფი გვიანობაზე რჩება სუხედ; პირველათ— იმიტომ, რომ არავინა ჰქრეფს საჭმელათა, მეორეთ— რომ სოციალური და გამძლე ღეროს მქონა, ჰხედავ? მაშინათა მამჩნება ბაღღაჯის სუხედ და განაგრძობ კვალათ:— ყოველსივენი ბღისა აქეს: თუ სის ძირი, თუ ფერი, თუ ფოთლები, თუ ნაყოფი, რომელმაც აი ჯერ შენც მოგატყუა... ამასვე შეხედები, შვილო, თითონ ჩვენს ხალხში, თითონ ჩვენს ამ ერთგვარს და არა სასარბიელად ცხოვრებაში! ჯერ შეტარა ხარ, მაგრამ როდესაც წამოიზრდები და შენც გარევი საზოგადოებაში, დაავიწროები მათ ცხოვრების მიმდინარეობას... ოჲ, ბუკნი ამ გვარი ბაღღაჯის ხენი შეგხედებინ, შვილო, მათში! ისინიც თავიანთ გარეგან შესხედულობით, ბაღღაჯის ბაღსავით მოგიზიდავენ; თავიანთ თავებს ვითომც კეთილ საქმის მომქმედებათ გაგანცნობენ მაგრამ, რაკი დაუხარჯადები, შვილო, რაკი გაიციან ასედაც მათს თუ საქმის მიმდინარეობას, თუ გარეგან შესხედულობასთან იმის შესაფერ ცოტადენ სინამდვილესაც, რომელთაც შენ ასე მოგაწონეს თავები, რომელთაც რაღაც მანქანებისა და ყოველის მომქმედ მალათ გაგანცნეს თავიანთ თავი, მაშინ! ოს, მაშინ! ამ გვარათ შეგაყრყოლებს ტანში მათი სიცრუე, შეუნიშვნელი თავხედობა და იმავე რიგათ შეიზიზღებ მათ გარეგნობს, როგორც ესაა ამ ბაღმა შეგაძულა თავი... ეტადე, შვილო, რომ კვალათ აღარ მოსტყუვდე, კვალათ აღარ მიგიზიდოს გარეგნობაში!..

ამა ჩემმა ამ სახით გათავა ღაშაჩავი; მხეც გარკათ გადისარა და გამოვსწიეთ შინისაგანა. ჩვენ კვალათ იმ გზასედ ამოვიარეთ და სხდაც ვი შემხვდებოდა წყარო ანუ გუბე, სხჩართთ მივარდებოდა სოფლე და კარგა ხანს ვიწეცხამდი პირსა, რომელიც ისე სამაგლათა მქონდა გამწარბული, რომ ტანში შეუყრყოლებლათ ნერწყვიც ვი ვერ ჩამეულანა; მაგრამ, თქვენ არ მომიგვადეთ, რომ მე ერთ კვირასაც ძლივს გამოვიდეი ის სამაგელი სიმწარე პირიდგანა!

მას აქეთი კარგა ხანმა გაიარა... შემდეგ მეც ჩავკრიე ჩვენს ესრეთ წოდებულ საზოგადოებაში და ჩავაკვირდი მათ ცხოვრების მიმდინარეობასა, ვაკვირდებოდა კვალათ საზოგადოებას, კსტდილობდი მათს უფრო ახლად განცნობასა, რომელთა შორის ერთი და ორი ვი არა, მომეტებული ნაწილი მხვდებოდა ისეთი პირნი, რომელნიც თავიანთის გარეგნობით მართლად და რაღაც მედიდურობის გამომეტყუვლებას შეიცავდენ, რომელთაც ნათლათ შეატყობდით, რომ ივინი რაღაც მიუწოდებულ არსებათ წარმოადგენდენ თავიანთ თავებსა; გაუგებარის სიამაყისაგან

ახვავებულნი, თითქო მუშაიდე ქარიდგან დასტყობდენ სსკა სიკვდილის შეილებსა და თითონაც აღარ იტყობდენ, როგორ და რა სახით გამოეხატნათ მათთვის თავიანთი მიუწოდებელი მედიდურება!.. მე ამ გვარ ხალხს, უფრო უშიშრათ დაუწვე ტყერა. უფრო ახლო გავიცანი: შეუფარდე მათი ესოდენი სიამაყით ახვავება, თვით ესრეთ წოდებულ გონების ახვავებას; საქმის, როგორც თითონ ისინი იკვირდენ სოფლე, ვითომც დაახლოებულ ცოდნასთან, ხელის მოკიდება და გაკეთება და, როდენით უნდა ვყოფილიყვი გაკვირებულნი, მკითხველო, რომ ეს ვითომც და საზოგადოების მეთაურნი ანუ წარმომადგენლები პირები აღმოჩნდენ კარგი ტკბილ ბღის მაგიერ «მწარე ბაღღაჯის ბღები»! შემდეგ კვალათ მათ შესხედარსედ მომაგონებოდა სოფლე ჩემი ყმაწვილური შეცდომა, მომაგონებოდა ამასთანავე ის მწარე ბალი, მამი ჩემის სიტყვები— «აღარ მოგატყუოს გარეგნობაში» და მწარე და გულ საკლავ დიმიდთან, რამდენჯერმე გავიქევიდა სოფლე თავსა და კსტდილობდი მათს ყოველ ყამს ტონის აქცევასა.

აბა, თითონ თქვენც ჩაკვირდით, მკითხველო, ჩვენს ესრედ წოდებულ მოწინავე საზოგადოების გმირებს; ჩაკვირდით მათ თუ სულის, თუ გონების მოძრაობასა და დაწმუნებებით თუ არა მათს «ბაღღაჯის ბღობას», თქვენც მოგივათ თუ არა პირსედ მომწამლავი დიმიდი და თქვენც ეტადებით თუ არა მათს კვალის აქცევასა— ეს სულ ქვეშ მითხარით შემდეგ.

ველის-ცხელი.




თეატრის

„ღეკევა“

ძართულ გაზეთს „ივერიას“ (№ 66) სწორენ ვითომც მე რამდენიმე ავადმყოფი ცოფისაგან «გამესაღებინოს». ღილი ტყუილი არის! მე მხოლოდ მოვარჩინე ავადმყოფები, და რაც შეეხება «გასაღებას», საფრანგეთში არც მე და არც სხვა მისთანა ბარბაროსი არავინ მოიპოვება, რომ აღამიანის სულთთ ვაპრობდეს და კაცებსა ჰყიდდეს.

ზესტერი.



გამოცანები

1

ჩვენს ბერძნულ მოვიდენ—
დაღვანი: ნდენ წავიდენ;
წყალში უნავოა გავიდენ.

2

ერთი თსა მეავდა ელავო,
სურგსეკ ეკიდა ესავო;
მისმა სიტყვა და მასუხმა
ქვეყნა შეჯავრავო.

3

თსა და ძროსა დამოხილდა—
ღორის შუამავლობითა.

4

მატარა კელენწუტო
კედელზედ მიესკუშაო.

5

სევით თავი სათიბელა,
ძირსა წყარო სადინელა.

6

ერთი რამე უსულაა,
სულიერისა მშობელი;
შვილსა შობს—დედა მოკვდება
შვირის გამომცნობელი.

წინა გამოცანების ახსნა

1) სიცინათელა. 2) ნავი. 3) ნამგალი. 4) ირ-
მის რქა.

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

განსვალბანი

ს ტ ა მ ბ ა

მელიქი შვილისა.

თფილისში—სასახლის ქუჩ., ანწრუნისეულ ქარ-
ვასლანში, ქართული თეატრის ქვემო საბრუნოში.

იღებს ყოველ გვარს სასტამბო საგმეებს საბე-
ჭდავით: გასკეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-
ვე ყოველ-გვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სწოტებს,
განცხადებებს, აფიშებს, პორტრეტებს და სხვ.

სისუფთავსე და აღნიშნულ დროზე საქმის
შესრულებასე სტამბა პირობას აძლევს საქმის
მომტანთ.

სტამბა ვისრულებს კორექტურის გასწორებას
და ბროშურებს გაკეთებას, უკეთუ წაკაზვის
მომტემნი ისურვებენ.

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატრობითი კაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სივრცე ვაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირბობით

ფასა „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მოწერთათვის ღირს სუთი (5)

მანეთი, ნასეკარის წლით—სამი (3) მანეთი. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.